ს.ს.ი.პ. საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრი“ დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №105-ე

ქ. თბილისი 18 ნოემბერი 2015 წელი

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში "სპექტრი" მოდულური პროგრამ(ებ)ის შიდა მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობის, შიდა მონიტორინგის ინსტრუქციისა და შიდა მონიტორინგის გეგმის დამტკიცების შესახებ

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ''სპექტრი'' ხარისხის მართვის მენეჯერის ნოდარი მეგრელიშვილის მიერ 2015 წლის 11 ნოემბერს წარმოდგენილი იქნა სამსახურებრივი ბარათი. კერძოდ, კოლეჯი ჩართულია და აქტიურად თანამშრომლობს განათლების ხარისხის განვითრების ეროვნულ ცენტრთან მოდულური პროგრამების დანერგვის გახორციელებაში. შესაბამისად მოდულური პროგრამების დანერგვის მონიტორინგისა და ხელშეწყობის სპეციალისტებმა კოლეჯის შესაბამის თანამშრომლებს გაუწიეს კონსულტაციები სასწავლო პროცესის დაგეგმვის, წარმართვის, მონიტორინგის თაობაზე. ამასთან, მათ რეკომენდაციით მიზანშეწონილია შეიქმნას შიდა მონიტორინგის ჯგუფი და ამ ჯგუფის სამოქმედო გეგმა და შიდა მონიტორინგის ინსტრუქცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, "პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის, სსიპ – საზოგადოებრივი კოლეჯის "სპექტრი" წესდების მე-5 მუხლის "ა" და "ე" ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში ''სპექტრი'' მოდულური პროგრამ(ებ)ის შიდა მონიტორინგის ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი ნოდარი მეგრელიშვილი- მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელი;

ბ) კოლეჯის მასწავლებელი ალეკო გელაშვილი - მონიტორინგის ჯგუფის წევრი;

გ) კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერი ლაურა ბიჭიკაშვილი - მონიტორინგის ჯგუფის წევრი;

დ) კოლეჯის სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი ნანა გეგეშიძე - მონიტორინგის ჯგუფის წევრი;

ე) კოლეჯის მთავარი ბურალტერი ქეთევან ღვინიაშვილი - მონიტორინგის ჯგუფის წევრი;

ვ) კოლეჯის დამსაქმებელი კომპანია „ჯეო თურანი“-ს დირექტორი პაატა რუსაძე - მონიტორინგის ჯგუფის წევრი.

2. დამტკიცდეს სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში "სპექტრი" მოდულური პროგრამ(ებ)ის შიდა მონიტორინგის ინსტრუქცია და გეგმა №1, №2 დანართების შესაბამისად.

3. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს კოლეჯის ვებ-გვერდზე.

4. აღნიშნული ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა კოლეგიაში, მისამართზე – ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

კოლეჯის დირექტორი

როინ ტაკიძე

[illegible]

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „სპექტრი“
შიდა მონიტორინგის ინსტრუქცია

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. საზოგადოებრივი კოლეჯი „სპექტრში“ მოდულური პროგრამის დანერგვის წარმატებით განხორციელების პროცესის უზრუნველსაყოფად საჭიროა მუდმივი მონიტორინგი, რომლის მიზანია: მოცემული ვითარების შესწავლა, მონაცემების შეგროვება, ანალიზი, საჭიროებების განსაზღვრა, მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და ჩარევების განხხორციელება.

1.2. შიდა შემოწმება (ვერიფიკაცია) ხარისხის შემოწმების სისტემა, რომელსაც ახორციელებენ შიდა შემმოწმებლები, მოდულური პროგრამის ფარგლებში და რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ შეფასებები იყოს სწორი, ხოლო შეფასების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება ზუსტი.

მუხლი 2. შიდა მონიტორინგის ჯგუფი

2.1. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელშიც შეიძლება შევიდეს:

- კოლეჯის დირექტორის მოადგილე ან/და კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი;
- მოდულური პროგრამის ხელმძღვანელი;
- სასწავლო დარგის მენეჯერები;
- ბუღალტერი
- დამსაქმებელი/დარგის სპეციალისტი.

2.2. შიდა მონიტორინგის ჯგუფს ჰყავს ჯგუფის ხელმძღვანელი მან უნდა განახორციელოს შემდეგი ამოცანები:
ა)შიდა მონიტორინგის ჯგუფის წევრთა და მოდულის განმახორციელებელი პირების აქტივობების კოორდინირება;
ბ)მონიტორინგის პროცესის კითხვარების შეგროვება და ანალიზი;
გ)მოხსენების მომზადება გარე მონიტორინგის ჯგუფისათვის.
2.3.შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ განხორციელებული თითოეული აქტივობა ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს შიდა მონიტორინგის ყველა წევრი.

მუხლი 3. შიდა მონიტორინგის ჯგუფის ამოცანები

3.1. შიდა შეფასების ჩატარება, ხარისხის სისტემის უზრუნველყოფა და შეფასება;
3.2. შემფასებლებისთვის დახმარების გაწევა და და სათანადო მიმართულებების უზრუნველყოფა;
3.3.შემფასებლების მუშაობის ხარისხის მონიტორინგი;
3.4. ხარისხის გარე უზრუნველყოფის მოთხოვნების დაკმაყოფილება;
3.5. მონიტორინგის კითხვარის შეგროვება და შეგროვებული მონაცემების ანალიზი

3.6. შემფასებლების კონსულტირება: რჩევები შეფასების პროცედურასთან/ინსტრუმენტებთან მტკიცებულებებთან დაკავშირებით.
3.7. შემფასებლების სასწავლო საჭიროებების იდენტიფიცირება;
3.8. პერსონალის განვითარების დაგეგმვა;
3.9. პროფესიულ სტუდენტთა მიღწევების ანალიზი.
3.10. გარე მონიტორინგის ჯგუფისთვის ანგარიშის მომზადება და თანამშრომლობა.

მუხლი 4. შიდა მონიტორინგის განხორციელების პროცესი

4.1. შიდა მონიტორინგის პროცესი მიმდინარეობს შემდეგ ეტაპებად:
4.1.1. მონიტორინგის ჯგუფის წევრების მიერ სასწავლო გეგმის და მის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა;
4.1.2. მონიტორინგის ჯგუფის წევრების დასწრება მეცადინობებზე.
4.1.3. მონიტორინგის ჯგუფის სხდომა, რომელსაც დაესწრება ადმინისტრაცია და მოდულის განმახორციელებელი პირები, სადაც გაიხილება მოდულის ფარგლებში წარმოშობილი პრობლემები და რეკომენდაციები;
4.1.4.შიდა მონიტორინგის ანგარიშის მომზადება;
4.1.5.მომავალი მოდულის გეგმის განხილვა და საჭიროებების მიხედვით კორექტირება;
4.1.6.მოდულის სწავლებისას გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით მოსალოდნელი პრობლემური საკითხების პრევენცია.

მუხლი 5. სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგი

5.1.შეფასების პროცესი იყოფა ძირითად შესასრულებელ პროცედურებად:
5.1.1.სწავლის შედეგების გაცნობა;
5.1.2. შესრულების კრიტერიუმების გაცნობა;
5.1.3.შეფასების ინსტრუმენტების გაცნობა;
5.1.4.შეფასების ინსტრუმენტების შემოწმება, რადენადაა თავსებადი სწავლის შედეგებთან და შესრულების კრიტერიუმებთან.
5.1.5.შეფასების შესაძლებლობების დაგეგმვა;
5.1.6.მტკიცებულებების შემუშავება და შეგროვება;
5.1.7.მტკიცებულებების განხილვა კრიტერიუმებთან მიმართებაში.
5.1.8.შეფასების შესახებ გადაწყვეტილება.

მუხლი 6. შიდა მონიტორინგის მოსალოდნელი შედეგები

6.1. მოდული პროგრამის წარმატებით დანერგვა;
6.2.განხორციელების პირველ ეტაპზე გამოწვევების შემცირება;
6.3.განხორციელების პროცესზე ეფექტური დაკვირვება;
6.4.გამოვლენილი პრობლემების აღმოფხვრა;
6.5.ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესება.

მუხლი 7.დასკვნითი დებულებები

7.1.შიდა მონიტორინგის ინსტრუქციის შემუშავების მიზანია, სწორად წარიმართოს მოდულური პროგრამის განვითარებაზე მიმართული საქმიანობა.

7.2. შიდა მონიტორინგის ინსტრუქციას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი და მასში ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ დირექტორის ბრძანებით.

დანართი №2

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „სპექტრი“

შიდა მონიტორინგის გეგმა

N	განსახორციელებელი აქტივობა	პასუხისმგებელი პირი	შესრულების თარიღი	შეფასება	შენიშვნა
1	შიდა მონიტორინგის გეგმის გაცნობა	ნოდარ მეგრელიშვილი	30.11.2015 წ	დაკვირვების ოქმი	
2	კოლეჯის ადმინისტრაციის ტრენინგი/კონსულტირება	შიდა მონიტორინგის ჯგუფი	08.12.2015 წ	დაკვირვების ოქმი	
3	მოდულის განმახორციელებელი პირების ტრენინგი/კონსულტირება	შიდა მონიტორინგის ჯგუფი	09.12.2015 წ	დაკვირვების ოქმი	
4	სასწავლო პროცესის მონიტორინგი	შიდა მონიტორინგის ჯგუფი	წლის განმავლობაში	დაკვირვების ოქმი	
5	სასწავლო მასალების/რესურსების მონიტორინგი	შიდა მონიტორინგის ჯგუფი	წლის განმავლობაში	დაკვირვების ოქმი	
6	ადმინისტრაციის გამოკითხვა (კითხვარის მეშვეობით)	შიდა მონიტორინგის ჯგუფის წევრი - ნოდარ მეგრელიშვილი	15.12.2015 წ	შევსებული კითხვარები/ანალიზი	
7	პროგრამის განმახრციელებელი პირების გამოკითხვა (კითხვარის მეშვეობით)	შიდა მონიტორინგის ჯგუფის წევრი - ნოდარ მეგრელიშვილი	16.12.2015 წ	შევსებული კითხვარები/ანალიზი	
8	პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვა (კითხვარის მეშვეობით)	შიდა მონიტორინგის ჯგუფის წევრი - ნოდარ მეგრელიშვილი	18.12.2015 წ	შევსებული კითხვარები/ანალიზი	
9	პირველი შიდა მონიტორინგის ანგარიშის მომზადება	შიდა მონიტორინგის ჯგუფი	23.12.2015 წ	ანგარიში/პრეზენტაცია	

10	გარე მონიტორინგისათვის ანგარიშის წარდგენა	შიდა მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელი - ნოდარ მეგრელიშვილი	წლის განმავლობაში	ანგარიში/პრეზენტაცია	

2016 წელი

N	განსახორციელებელი აქტივობა	პასუხისმგებელი პირი	შესრულების თარიღი	შეფასება	შენიშვნა
1	მოდულის განმახორციელებელი პირების ტრენინგი/კონსულტირება	შიდა მონიტორინგის ჯგუფი	წლის განმავლობაში	დაკვირვების ოქმი	
2	სასწავლო პროცესის მონიტორინგი	შიდა მონიტორინგის ჯგუფი	წლის განმავლობაში	დაკვირვების ოქმი	
3	სასწავლო მასალების/რესურსების მონიტორინგი	შიდა მონიტორინგის ჯგუფი	წლის განმავლობაში	დაკვირვების ოქმი	
4	პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვა (კითხვარის მეშვეობით)	შიდა მონიტორინგის ჯგუფის წევრი - ნოდარ მეგრელიშვილი	წლის განმავლობაში	შევსებული კითხვარები/ანალიზი	
5	პროგრამის განმახრციელებელი პირების გამოკითხვა (კითხვარის მეშვეობით)	შიდა მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელი - ნოდარ მეგრელიშვილი	წლის განმავლობაში	შევსებული კითხვარები/ანალიზი	
6	შიდა მონიტორინგის ანგარიშის მომზადება	შიდა მონიტორინგის ჯგუფის წევრი - ნოდარ მეგრელიშვილი		ანგარიში/პრეზენტაცია	
7	გარე მონიტორინგისათვის ანგარიშის წარდგენა	შიდა მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელი - ნოდარ მეგრელიშვილი	წლის განმავლობაში	ანგარიში/პრეზენტაცია	